

მოქალაქის ღირსებისთვის ავთანდილ ჯორჯაძეს ამოადებენ

ასე გადაწყდა პრეზიდენტთან სამსაათიანი დახვედრის დროს

გიორგი ასანიშვილი თბილისში მდებარეობს

2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ანტიშეჯარდნაძისტული ძალების წარმატებამ, მოწინააღმდეგე ბანაკში ბუნებრივი საპასუხო რეაქცია გამოიწვია – პრეზიდენტის მხარდამჭერი ძალები კონსოლიდაციას და დაკარგული პოზიციების დაბრუნებისთვის ბრძოლას იწყებენ.

გუშინ სახელმწიფო კანცელარი-აში საპარლამენტო ფრაქციების -

ბაგრძოლაბა A2 გვარდუა

ხვალ ვაზიანში, ნატოს ავღიშით, სამხადრო სწავლება იწყება

გიორგი ასანიშვილი

ხვალ, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, ნატოს პროგრამის - “პარტნიორობა მშვიდობისათვის” - ფარგლებში, იწყება მრავალეროვნული სამხედრო სწავლება, სახელწოდებით “ბესტ ეფორტ 2002”, რომელშიც 15 ქვეყნის სახმელეთო ძალების ქვედანაყოფები მიიღებენ მონაწილეობას.

გუშინ სასტუმრო “თორში” პრესკონფერენცია გამართეს სწავლების ქვედიქტორებმა, ნატოს მხრიდან – ვიცე-პოლკოვნიკმა სერჟ ლაბემ და საქართველოს მხრიდან – ვიცე-პოლკოვნიკმა ირაკლი ბატკუაშვილმა. ამ უკანასკნელის განცხადებით, ღონისძიებაში საქართველო წარმოდგენილი იქნება 70 სამხედრო მოსამსახურით, რომლებიც შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბში სხვადასხვა თანამდებობებზე მსახურობენ.

აღსანიშნავია, რომ ნატოს სამხედრო სწავლებებში საქართველო უკვე მეშვიდედ მონაწილეობს, წლეულს კი მასში მონაწილე ჯარების ერთი ათეული პირველად იქნება ჩართული. ასევე პირველად, შეიდი წლის განმავლობაში, სამშვიდობო ბატა-

ლიონს ქართველი ოფიცერი, გენშტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი კაზალი-კაშვილი უხელმძღვანელებს.

სწავლების უსაფრთხოებას ნატო და ქართული მხარე ერთობლივად დაცვენ. უსაფრთხოების უზრუნველყოფას ეროვნული გვარდიდან და სპეცდანიშნულების ძალებიდან 500 კაცი მოეწასხურება.

სერჟ ლაბეს თქმით, “ბესტ ეფორტ 2002”-ს ანტიტერორისტული ქვედანაყოფების მომზადებასთან რაიმე კავშირი არა აქვს.

“წვრთნების მიზანია ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ძალების შორის დაგვიმარების, მართვისა და თავსებადობის მიღწევა, სამშვიდობო ქვედანაყოფების განვითარება, პირადი შემადგენლობის ინდივიდუალური სწავლება და აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოუმუშავება”, - დასძინა სერჟ ლაბემ.

სამხედრო სწავლება ვაზიანის სამხედრო ბაზაზე 28 ივნისს დასრულდება.

ინფორმაცია მომზადებულია “ინტერ-პრესის” მასალების გამოყენებით

არაგვანები აჭარაში მინაური საქმეა

არასამთავრობო ორგანიზაცია “სამართლიანი არჩევნები” აჭარაში არჩევნებზე მონიტორინგს ვერ განახორციელებს. აჭარის ცესკომ ამ ორგანიზაციის დამკვირვებებს თვითმმართველობის არჩევნებზე დასასწრებ აკრედიტაციებზე უარი უთხრა.

სააგენტო “პრაიმ-ნიუსის” ცნობით, ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი “სამართლიანი არჩევნების” თავმჯდომარის მოავიღებ ნუგზარ კუთრეიშვილმაც არ იცის. იგი არ გამოიცხადებს, რომ ეს შესაძლოა, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სურვილის ასრულება

ბაგრძოლაბა A2 გვარდუა

ახიშნი	
თბილისი	29
ქუთაისი	28
ბათუმი	24
სოხუმი	24
ფოთი	24
თელავი	28
ფაგდოდი	27
ბორი	26

უცხოური ვალუტის ლუცონიური კურსი	
მოცინა მიმართებაში	
აშშ დოლარი	2.2200
ევრო	2.0943
ფუნტი	3.2690
რუბლი	0.0706

კოდორის ხეობაში პატრულირება განახლდება

კოდორის ხეობაში, რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებსა და გაეროს მისიის დამკვირვებელთა მონაწილეობით, პატრულირების მორიგი რაუნდი დაიწყო. უკანასკნელი პატრულირებისას გაეროსა და რუსულ მხარეს რაიმე დარღვევა არ დაუფიქსირებიათ. პატრულირება 16 ივნისამდე გასტანს. აღინიშნა, რომ აუცილებელია ხეობაში განაღმვითი ოპერაციების ჩატარება. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ხეობაში ნაღზე ორი რუსი ჯარისკაცი აფეთქდა, რომელთაგან ერთი გარდაიცვალა, მეორე კი მძიმედ დაიჭრა.

გზაზე კვიციანი თანახმაა, ხეობაში განაღმვითი ოპერაციები დაიწყო.

მედი-ნიუსი



REUTERS



REUTERS

ყუბანური აქსპერიმენტით რუსეთი საქართველოს პოლიტიკური რუკის გადასინჯვას იწყებს

რუსეთი ნიქარაძე საქართველოში მოსვლის

კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ტაჩეიკო რუსეთის ხელისუფლებას სთხოვს, რეგიონში ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივების თავიდან აცილების მიზნით, უმოკლეს ხანში დაიწყოთ თურქი-მესხების დეპორტაცია საქართველოში - არც მეტი, არც ნაკლები.

სულ ცოტა ხნის წინ კი, გუბერნატორი “ნტე”-დან გაგდებული საიკ შუსტერის პროგრამაში “სიტყვის თავისუფლება” საჯაროდ აცხადებდა, რომ კრასნოდარში არაღვალაური მიგრანტების ყოფნა სიტუაციას ძაბავს და დროა, თურქი მესხები იქ წაბრძანდნენ, საიდანაც ჩამოვიდნენ. გუბერნატორმა წარმოადგინა

კრსნოდარში გადაღებული პროვოკაციული ფილმი, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორი დაპირისპირებაა დღეს კრასნოდარის მხარეში მცხოვრებ თურქ-მესხებს, ადგილობრივ კაზაკებსა და სომხებს შორის. “დაპირისპირება” მდებარეობით სქესის აქტიური არსებების სიტყვიერი შელაპარაკებებით იყო გადმოცემული.

ცნობილი რუსი სამართალდამცავების ლოგიკურ შეკითხვაზე, დღემდე რატომ არ ხერხდება ამ ხალხისათვის სამუშაო ადგილების გამოძებნა და მათი კანონიერი რეგისტრაცია, კრასნოდარის გუბერნატორი პასუხობს, რომ ეს საქართველოს ხელისუფლების გადასწყვეტი პრობლემაა, რადგან თურქი-მესხები სწორედ ამ რესპუბლიკიდან გამოასახლეს. სერგეი კოვალევიც შე-

კითხვას, არის თუ არა საჭირო დეპორტაციამდე საქართველოს ხელისუფლების აზრის მოსმენა, გუბერნატორი პასუხობს, რომ სწორედ საქართველომ აქცია ისინი არალეგალიზაცია.

ასეა თუ ისე, სულ მალე კრასნოდარში პუტინის გუნდის ერთ-ერთი კოლორიტული წარმომადგენელი, გუბერნატორი ტაჩეიკო “ყუბანური ექსპერიმენტის” გატარებას აპირებს. ექსპერიმენტი გულისხმობს ყველა მიგრანტის საკუთარ სამშობლოში დაბრუნებას, რაც მიანიშნებს, რომ ამ პრობლემისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, არათუ ერთ უბრალო პროვოკატორ გუბერნატორს, არამედ ვეებერთელა რუსეთსაც არ გააჩნია.

რა თქმა უნდა, ტრაგედიაა, როცა ამხელა სახელმწიფოს მიგრაციული

პოლიტიკა ეროვნებათაშორის შუღლის გაღვივებაზე მუშაობს, როცა რუსეთის ფედერალურ ორგანოებს არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, რადგან ადგილებზე წმინდა წყლის რასიზმი იღვიძებს და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი აბსოლუტური შეურიგებლობა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში ადის.

რუსეთის ფედერალური საემიგრაციო სამსახურის უფროსმა ანატოლი ჩერნენკომ ორიოდე დღის წინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს უთხრა, რომ “მათ სისტემაში შეიქმნა თურქი-მესხების პრობლემების შემსწავლელი ჯგუფი, რომელიც ამ ხალხის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაზე იმუშავებს”.

ბაგრძოლაბა A2 გვარდუა

ღვინისძიება დუბლინურად დღეს Bloomsday-ი, 16 ივნისი

A5



მსახიობები: მაჟონ კელი, ჯიმ კორკორანი და ზენი ლილისი გაპყვირან ნაწყვეტებს „ელისედან“.

მოქავეშირის ლიდეროებისთვის ავთანდილ ჭორბანაძეს ამზადებენ

ასე გადანყდა პრეზიდენტთან სამსაათიანი დახურული შეხვედრის დროს

პირველი გვარდიიდან

შეხვედრიდან გამოსულმა საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზემი-ალ მუჰანბანიშვიმ განაცხადა, რომ სამსუბიექტიანი გაერთიანების თავმჯდომარის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა ფიგურირებდა, რომელთა ვინაობის დაკონკრეტებისგან მან თავი შეიკავა. ცნობილი არც კოალიციის დასახელებაა. გარკვეული მხოლოდ ის, რომ მას მოქალაქეთა კავშირი არ ერქმევა.

“მართალია, კოალიციაში შემავალი სამივე ფრაქციის დეპუტატები პარტია “მოქალაქეთა კავშირის” წევრები არიან, მაგრამ ახალ გაერთიანებაზე ამ სახელწოდების განვრცობისგან თავი შევიკავეთ, რათა სხვა ფრაქციებს კოალიციისკენ მთავალი გზა არ მოუფრთათ”, - აცხადებს ფრაქციის - “ალიანსი ახალი საქართველოსთვის” - თავმჯდომარე ირაკლი გომეზაძე.

ამასთან, როგორც გაირკვა, ახალი საპარლამენტო კოალიციის დაფუძნება გუშინდელი დახურული შეხვედრის ერთადერთი თემა არ ყოფილა. არანაკლებ ყურადღება დაეთმო პრეზიდენტის საერდენი პოლიტიკური პარტიის რეორგანიზების საკითხებს. ირკვევა, რომ თავად ედუარდ შევარდნაძე უარს ამბობს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე დაბრუნებაზე, ამ ორგანიზა-

ციის საპატიო თავმჯდომარეობით კმაყოფილება და ერთ დროს ძლევა-მოსილი პარტიის მესაჭედ დადგომას სახელმწიფო მინისტრს სთავაზობს. სმკ-ს ლიდერის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება გუშინდელი თავყრილობის მონაწილეებს არ მიუღიათ. მოთათბირენი მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ ავთანდილ ჯორბანაძის კანდიდატურას დასამტკიცებლად წარუდგენენ მოქალაქეთა კავშირის ყრილობას, რომელიც ივნისის ბოლოს ჩატარდება.

სამი ფრაქციის – “მოქკავშირის”, “თანადგომისა” და “ალიანსის” - პრეზიდენტთან ვიზიტმა პარლამენტარებში საკმაოდ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია, თუმცა ყველა აღიარებს, რომ ერთ დროს მძლავრი სახელისუფლებო პარტია ნამდვილად არ შეურიგდება მეორე-ხარისხიანი პოლიტგაერთიანების სახელს და პირველობისთვის პოლომდე იბრძოლებს.

სხვა საქმეა, რამდენად სჭირდება ახლა ქვეყნის პრეზიდენტს არსებული ვითარების და პოლიტიკური ბალანსის შეცვლა. მით უფრო, რომ პარლამენტში მას ნებისმიერ წუთის ეყოლება გარანტირებული უზრუნველსობა (რაც არერთგზის მომხდარა კიდევ).

ამის მიუხედავად, “მოქალაქეთა კავშირი,” “თანადგომა” და “ალიანსი ახალი საქართველოსთვის” მარცვ გაერთიანებისთვის იღწვიან. “24 საა-

თის” ინფორმაციით, მათ მალე ფრაქცია “აფხაზეთიც” შეუერთდება. თუკი მოვლენების სწორედ ამგვარი სცენარით წარმართა, მაშინ “ოთხთა კავშირი” ნამდვილად ანგარიშგასაწევი ძალა იქნება ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

“აბსოლუტურად მესმის იმ ჯგუფების,რომლებიც ერთ დროს დაიდამმართველი პარტიის წიალიდან არიან აღმოცენებული. ეს ჯგუფები რაღაც ნაბიჯების გადასაღებლად რომ არ ემზადებოდნენ, ნამდვილად ალოგიკურად მომეჩვენებოდა. მაგრამ, საერთოდ, მეონია, რომ ამ დაგუფის რეანიმაციის მცდელობა აბსოლუტურად აზრს მოკლებულია. კი გაძლიერების მცდელობაშიც უშედეგო იქნება, რადგან დღეს პოლიტიკური ვითარება ძალზე შეცვლილია. ახლა საზოგადოებაში არ არსებობს არც იმის რესურსი და არც იმის განწყობა, რომ მან ახალი სახელისუფლებო პარტია მიიღოს. მითუმეტეს ისეთი პარტია, რომელიც ძველის ნამსხვრევების მექანიკური შენებაების ხარჯზე აღმოცენდება. აბსურდად მიმანჩია ისიც, რომ შევარდნაძე ისევ გახდეს ამ პარტიის პირველი პირი. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ პრეზიდნტი არ უნდა იყოს რომელიმე პოლიტიკური ძალის ხელმძღვანელი. რაც შეეხება ჯორბანაძის ფაქტორს, ესეც ამ შემთხვევაში არ მიმანჩია ბუნებრივად, რადგან ჯორ-

ყუბანური ექსპერიმენტით რუსეთი საქართველოს პოლიტიკური რუკის გადარსებას იწყებს

პირველი გვარდიიდან

ჩერნენკოს თქმით, თურქი-მესხების პრობლემა მხოლოდ რუსეთის გადასაწყვეტი არ არის და მასში აქტიურად უნდა ჩაერთოს საქართველოს ხელისუფლებაც. ამ სამსახურის წარმომადგენელი ასევე ამტკიცებს, რომ ეს საკითხი საერთაშორისო კონსულტაციებით უნდა გადაწყდეს. ჩერნენკო არ გამოიცხავს პირდაპირ დიალოგს თურქ-მესხებთან, მაგრამ იქვე აკონკრეტებს, რომ კარგი იქნება, თუ ამ დიალოგს თურქ-მესხებთან საქართველო გამართავს და არა რუსეთი.

ამ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ უახლოეს მომავალში კრასნოდარის მხარეში გაგზავნიან სპეციალურ წარმომადგენელს, რომელიც დღეს რუსეთის ამ სუბიექტში უკანონოდ მცხოვრები თურქი-მესხების აღრიცხვას დაინეებს. ჩერნენკოს თქმით, მათი მიახლებითი რაოდენობა 20 ათასია. “კრასნოდარის მხარეში მათი ცხოვრება არასაქცირებულია და დიდ პრობლემებს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას, ყოველ დღე ხდება რამდენიმე ინციდენტი საყოფაცხოვრებო დონეზე, ასე რომ, ეს პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაჭრას, სანამ ყუბანში მეორე ფერაგანას მივიღებდეთ,” - განაცხადა მოსკოვში რუსე-

თის ფედერალური საემიგრაციო სამსახურის უფროსმა ანატოლი ჩერენკომ. იგი იმითიცაა შეზუხებული, რომ “ისტორიულად თურქ-მესხებსა და ყუბანელ კაზაკებს შორის მუდამ იყო დაპირისპირება და შეტაკებებსაც ჰქონდა ადგილი, ახლა ეს პრობლემა უფრო გამწვავებულია და რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებამ ამაზე თვალთ არ უნდა დახუჭოს”.

მოსკოველი ექსპერტების აზრით, თურქი-მესხების პრობლემა პარკისში მცხოვრები ჩერნეთიდან დევნილების პრობლემის პარალელურად შეიძლება გართულდეს. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ 15 ივნისს გაიმართა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდიონის ვლადიმირ რუმჰოლსი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მერაბ ანთაძისა და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ბაქრაძის შეხვედრა, სადაც, აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელებასთან ერთად, პანკისში მცხოვრები ჩერენი მოქალაქეების რუსეთში დაბრუნების საკითხზეც იყო საუბარი.

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერალური საემიგრაციო სამსახურის უფროსმა კმაყოფილება გამოთქვა მიუღ რიგ საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც “რუსეთში ავიზორებენ გარკვეულ ეროვნებათა წარმომადგენლებს”.

მისი თქმით, 11 სექტემბრის შემდეგ ევროპასა და მთელს მსოფლიოში გაშკაცდა საემიგრაციო კანონები და მგავსი სიმკაცრე არავისთვის არ უნდა იყოს მოულოდნელი.

თურქი-მესხების საქართველოში გარეკეის მომხრე რუსი პარლამენტარი დიმიტრი როგოზინი ამბობს, რომ “რუსეთის კონსტიტუციაში არსებობს ე.წ. დემოკრატიის ნორმა, რომელსაც თავისი მექანიზმი გააჩნია – კრასნოდარის შემთხვევაში, გუბერნატორმა უნდა აუღოს ამ ხალხს ბილეთი ან ერთი ჩარტრული რეისი დაიჭიროოს და თურქი-მესხები შევარდნაძეს გაუგზავნოს”.

“დსთ-ს ინსტიტუტის” დირექტორი კოსტატინ ზატულინი, რუსეთის ტელევიზიით გამოცემისას, აღნიშნავდა, რომ მას ვერ გაუგია, რატომ არ უნდა იცხოვრონ თურქი-მესხებმა საქართველოში?

თქმა არ უნდა, საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე მორიგი ცხელი წერტილის გაჩენას მოსკოვის პოლიტიკური წრეები და კრემლის მიერ კონტროლირებადი მასმედია ინფორმაციულად უზრუნველყოფს.

შემთხვევითი არ ყოფილა თანამეგობრობის სივრცეში ერთ-ერთ პოპულარულ ელექტრონულ გამოცემაში “გაზეტა სენ”-ში რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნებული “რუსი სპეციალისტების” წერილი, რომლის ავტორებიც სამცხე-ჯავახეთის რე-

ბენაძე და შევარდნაძე აბსოლუტურად განუყოფელი ფიგურები არიან დღევანდელ სახელისუფლებო ვერტიკალში. ჯორბანაძე შევარდნაძის უშუალო დასაყრდენია. გამოვა, რომ თუ შევარდნაძემ უარი თქვა პარტიის თავმჯდომარეობაზე, იგი შესთავაზებს ამ პოსტს ჯორბენაძეს, რაც წინასწარ განწირულია. არა მეონია, შევარდნაძისა და ჯორბენაძისთვის მოქკავშირის ლიდერობას რაიმე მომხიბვლელობა შეიძნეს. არ უნდა დაგვაიწიფდეს, რომ საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე ორი წელია დარჩენილი და არა მეონია, რომ პრეზიდენტი პოლიტიკურ დასაყრდენად რომელიმე პოლიტიკურ ძალას ამოირჩევს”, - ამბობს ფრაქცია “ახალი მემარჯვენეების” წევრი შქმძირა ჩინრაძე.

მისგან განსხვავებით, “მოქკავშირის” რეანიმირებას არ გამოირცხავს “მრეწველი” ზურაბ ტყემალაძე, რომელიც აცხადებს:

“მოქალაქეთა კავშირი დაიშალა, მაგრამ ისე, როგორც იმლება ვერცხლისწყალი - მარცვლებად. ეს მარცვლები შემდეგ ისევ ერთიანდებიან ხოლმე. სწორედ ასე გაერთიანდებიან ის ნამსხვრევები, რაც ამ პარტიისაგან არის დარჩენილი. ამას მე, უკვე დიდი ხანია, ვამბობ. დღეს სამი ფრაქცია ერთიანდება. ხვალ მათ დანარჩენებიც შეუერთდებიან. ვერაფერს გასაკვირს ამაში ვერ ვხედავ”.

კრიონალი

უმიზარი ქარდი
<p>ხონელი მერაბ ჩიხლაძე არ შეუშინებია იმას, რომ მანქანა, რომლის გაქურდვასაც ცდილობდა, ადიგენის უშიშროების განყოფილების უფროსს ეკუთვნოდა. თუმცა, უშიშარი</p>

გაფრთხილება უცხოეთში მუშაოვის მსარველთათვის

თბილისელი ქალბატონი ახალციხის პოლიციამ დააკავეს. იზოლდა ანდელუაძე ახალციხეზის ფულს საძალავდა. თაღლითობისათვის შესაბამისი ვერსიაც კარგად ჰქონდა მოფიქრებული — თავის მსხვერპლთ უცხოეთის ვიზებით უპრობლემოდ უზრუნველყოფას ჰპირდებოდა. მაგალითად, იგი აესტრალიაში სამსახურის მოვნასა და საელჩოში მიუსვლელად ვიზის გაკეთებას შეჰპირდა

ახალციხელ ოთარ და გოჩა ინასარიძეებს, სანაცვლოდ კი 3-3 ათასი დოლარი გამოართვა. შედარებით დაწინადა ახალციხელი გიორგი ინასარიძე და იმავე მომსახურებისთვის სულ 1000 დოლარი გამოართვა. სამართალდამცელებმა თბილისელი იზოლდა ანდელუაძე ახალციხეში დააკავეს. ჯერჯერობით, უცნობია მის მიერ მოტყუებულითა სრული ნუსხა.

სანატალი ზურგში

მეზობლების ჩხუბი სისხლიანი ანგარიშსწორებით დასრულდა. გორში, შინდისის გზატკეცილზე მცხოვრებმა ალექსანდრე ზუმბუელიძემ იმავე ქუჩაზე მცხოვრები ირაკლი ირემაშვილი დაჭრა. მან მე-

ზობელს დანა ზურგში ჩაარტყა. დაჭრილი საავადმყოფოში მოათავეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ზუმბულიძე კი დაკავებულია და მიმდინარეობს მოკვლევა.

საერთაშორისო კრიონალი

ქალის ძალა ფხეაზონა



პოლიციელი ქალების აზრით. პოლიციელობა ინტელექტუალური შრომაა

ბრიტანელი პოლიციელი ქალები მომავალი კოლეგების ინტერესებს იცავენ. ისინი მიიჩნევენ, რომ სუსტი სქესის ახალწვეულთა ფიზიკური მომზადების ტესტები მამაკაცებზეა გათვლილი და ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მათ შეცვლას სთხოვენ.

პოლიციელი ქალების ასოციაციის პრეზიდენტი ჯული სპენსი ამბობს, რომ ტესტირების სისტემა, რომელიც შედის აზიდვები, სიმძიმეების აწევა, სირბილი, ზღუდავს პოლიციელობის მსურველ ქალებს. ეს მაშინ, როცა ხელისუფლება განიცდის, რომ ქალები პოლიციელთა მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენენ და ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ქალი მიიზიდოს სამართალდამცველ ორგანოებში.

დული სპენსი ამბობს: “პოლიციელის მუშაობა მხოლოდ სირბილით არ შემოიფარგლება. პირიქით, შეხედულება, რომ პოლიციელები სულ დახტიან და ჩხუბებან, რეალობას არ შეეფერება. ეს ინტელექტუალური შრომაა. სასაცილოა, როცა ზოგიერთ პოლიციელობის მსურველს აიძულებენ მო-

ტიციკლზედ ასწიოს. ეს ხომ მუშაობისას არავის სჭირდება”.

სპენსის თქმით, ფიზიკური მომზადების ტესტებს ვერ უმკლავდება ქალების ნაწევარი, მამაკაცების კი - მხოლოდ 10 პროცენტი. “**ვფიქრობ, ეს დისკრიმინაციაა. ადამიანებმა უნდალოდ არ იციან, როგორი უნდა იყოს ნამდვილი პოლიციელი**”.

პოლიციელ ქალთა ასოციაციას სურს, რომ ფიზიომზადების ტესტები მედკომისიით შეიცვალოს, რომელიც ყურადღებას მიაქცევს მხედველობას, სწენას და გამძლეობას. “**ახლანდელი ტესტები სხეულის ზედა ნაწილის კუნთების განვითარებას მოითხოვს, რაც ქალებისთვის პრობლემაა, მამაკაცები კი სწორედ ამაში არიან ძლიერნი**. ქალის სხეულის ყველაზე ძლიერი ნაწილი ხომ ფეხებია”,— ირწმუნებიან ბრიტანელი პოლიციელი მანდილოსნები. სხვათა შორის, მათი პრეტენზიები, შესაძლოა, გაზიარებულ იქნას და ბრიტანეთის შს სამინისტროს დათმობებზე წავიდეს, ისევ და ისევ იმ მიზეზით, რომ პოლიციელთა რიგებში ქალების რიცხვის გაზრდა სურთ.

ფანტაზიას საზღვარი არ აქვს

პარიზში საიუველირო მაღაზია მტვერსასრუტით გაუქურდავთ.

მაღაზიის გაძარცვის ფაქტი ოთხშაბათს ყველა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა. უკვე მეორედღესვე პარიზელმა სამართალდამცველებმა ძარცვის ორიგინალური მეთოდის მოსახებ ყველაფერი იცოდნენ. ძარცვაში ოთხი ადამიანი მონაწილეობდა. მათ მოტოციკლეტით მაღაზიის ვიტრინს შეამტყუვეს. მმეტვერელ მინიმა მტვერსასრუტის მთელ შეუქვს და ვიტრინაში გამოეყ-

რუსული ბანკები ჩიჩენურ ფულს ათეთრებენ

ვისთვის ომს უბედურება მოაქვს, ვისთვის – დიდი შემოსავალი.

რუსეთის შს სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლმა სამმართველომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა რამდენიმე ბანკის წინააღმდეგ. მათ ბრალად ედებათ ჩენწური ფულის გათიერება.

ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლ სამმართველოს უფროსის ალექ-

^[1] გამოშვებული: რუსეთი 2 პრინტი მთაქაარი რედაქტორი მამუკა ფარაშვილი, პაპაგა ვეპხიძე (მხარველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (ცამოშვები რედაქტორი), ირაკლი ლეივაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), მამუკაშვილი, დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიგაგაჩიკრა-მაღალა ხარშვილი, სამგორი-ქეთევან სადღეებელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ ტრუა, სტილი-მინიმა მამაშვილი, მედიკონა-ზაზა ფარაშვილი, ღაბია ლეივა კიფიანი (რედაქტორი), ზესო კალაშვილი (მხატვარი), მარტინი, გიორგი კიკელაშვილი, გიორგი ხმაღაძე, ქონკრეტიკალი ქონტროლი, თამარ ჩხიძე (მხატვარი), მათა ყიასაშვილი, დედა ნიქაროშვილი, ზესა ბალაროშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გავაქკორი, დიდი მალუგაშვილი, ალექსანდრე შაიორიშვილი, თენგიზ ქორია, სტილი: ნანა გიბარაძე, თამარ კვაჭანტარაძე, მათა მომბიასკანაშვილი ტკარაძე, რეკლამა-ზურბი გაომელი

ეკონომიკა

„მრეწველები,, „სერბიარს,, უფროსიან ახალი საგადასახადო კოდექსის პირველი მოთაღვა მთავრობაში

გიორგი კალანდაძე

სახელმწიფო მინისტრი მთავრობაში, ჯერჯერობით, ერთადერთია, რომელიც “მრეწველების” ინიციატივით შემუშავებულ საგადასახადო კოდექსის პროექტს სერიოზულად აღიქვამს. გუშინ ავთანდილ ჯორბენაძემ მთავრობის წევრებსა და მეცნიერ-ეკონომისტებს პროექტის ძირითადი პრინციპების განსახილველად მოუყარა თავი. შემდეგ იმავე საზოგადოებაში თითქმის ანალოგიური გულმოდგინებით განიხილა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომლის მიღებასაც “მრეწველები” კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

ახალი საგადასახადო კოდექსის ავტორები პროექტის საბოლოო ვარიანტის ხელისუფლებისათვის წარდგენას სექტემბრისთვის გეგმავენ. “კოდექსის მიღებიდან ორი-სამი თვის მანძილზე ბიუჯეტის შეესებაში, შესაძლოა, პრობლემები წარმოიშვას, მაგრამ ამ დროის გასვლის შემდეგ ვითარება მკვეთრად გამოსწორდება, ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, რაც ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას გამოიწვევს”, - განაცხადა სხდომაზე გამოსვლისას კოდექსის პროექტზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელმა, “საქართველოს ეკონომიკის განვითარების ინსტიტუტის” დირექტორმა ნიკო ორგელაშვილმა.

ახალი საგადასახადო კოდექსი ოთხ ძირითად (დამატებული ღირებულების, საშემოსავლო, აქციზისა და ქონების) გადასახადს ტოვებს. ამასთან, პროექტის მიხედვით, ქონების გადასახადი რამდენიმე გადასახადს მოიცავს, მათ შორის, მინის, ფიზიკურ პირთა უძრავი ქონების, ძირითადი საშუალებებისა და რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონების სხვა სახის გადასახადებს. კოდექსის პროექტი “სორისში” და “გოგი თოფაძის” ფონდების ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. პროექტი “მრეწველებს” მოეწონათ.

ამ პოლიტიკური ჯგუფის ლიდერი გოგი თოფაძე ახალი კოდექსის



ავთანდილ ჯორბენაძე

ამოქმედების გზაზე მხოლოდ ერთ წინააღმდეგობას ხედავს - ეს სამართაშორისო სავალუტო ფონდი. ამ საფინანსო ინსტიტუტს “მრეწველები” დიდი ხანია, არ სწყალობენ. გუშინდელ შეხვედრაზე თოფაძემ საგალუტო ფონდს “ცერბერი” უწოდა. “საგადასახადო კანონმდებლობის გადახედვას საგალუტო ფონდის ეწინააღმდეგება, - აღნიშნა თოფაძემ - არადა, თუ გვინდა საქართველომ 2005 წლის შემდეგ იარსებოს, რადიკალური რეფორმების გზით უნდა წავიდეთ”.

“მრეწველთა” ლიდერი ფინანსთა

ახალ მინისტრსაც გადასწვდა, რომელიც საგადასახადო კოდექსის განხილვას ბოლომდე არ დაესწრო. “ზირან გოგიაშვილის პოზიცია გაუგებარია”, - აღნიშნა თოფაძემ. თუმცა, გაცხადებით უფრო გაუგებარი იყო ის, რომ ახალ საგადასახადო კოდექსზე მსჯელობის შემდეგ, სხდომაზე უკვე მოქმედ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი განიხილეს. იგი ფინანსთა სამინისტროში მომზადდა. ამ პროექტით მთავრობა ბიუჯეტისთვის 25 მილიონი ლარის დამატებითი რეზერვეების მობილიზებას გეგმავს. ასეთი

ვალდებულება მთავრობას საგალუტო ფონდის წინაშე აქვს აღებული. ის ნაბიჯები კი, რომლის გადადგმაც მთავრობა აპირებს, მიუღებელია “მრეწველებისათვის”.

“ჩვენ აუცილებლად უნდა ვითანამშრომლოთ საგალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. ამ საკითხში აგრესიის გამოვლენა გაუმართლებელი იქნება, - განაცხადა ავთანდილ ჯორბენაძემ, - თუმცა, მათთან დიალოგის დანება, საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის თაობაზე, შესაძლებელია. საგალუტო ფონდი ამისთვის მზადაა”.

სოროსი ქრთამიზა ალკარაჟდა

ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი ანტიკორუფციული ინიციატივით გამოვიდა. მან შესთავაზა კომპანიებს, რომლებიც ბუნებრივ რესურსებს მოიპოვებენ, გამოაქვეყნონ სრული ინფორმაცია იმ თანხების შესახებ, რასაც ისინი სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებს უხდიან.

ჯორჯ სოროსის მოწოდებას მხარი დაუჭირა არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის, “ემენსტი ინტერნეიშენელმა” და “ტრანსფარენს ინტერნეიშენელმა”. ინიციატივის თანახმად, საფონდო ბიზნესის მარეგულირებელმა უნდა გაამკაცრონ ბიზნესზე ფასიანი ქა-

ღალდების განთავსების წესები. სოროსის მოთვარი სამიზნე ტრანსნაციონალური კომპანიებია, რომლებიც მოიპოვებენ ბუნებრივ რესურსებს, მათ შორის - ნავთობს.

საუბარია იმაზე, რომ ისეთმა კომპანიებმა, როგორიცაა “ბრიტმ პეტროლეუმი” და “შელი”, ფართო

საზოგადოებისათვის ღია გახადონ ინფორმაცია, ნავთობისა და გაზის მოპოვების უფლებისათვის რომელი ქვეყნის მთავრობას რა თანხა გადაუხადეს. სოროსი ამტკიცებს, რომ ამ გზით ნავთობით მდიდარი ქვეყნების მთავრობები მიღარდობით დოლარის შემოსავალს ღებულობენ.

უცხოეთი

ისრაელის ჰარაზმა ჰანიინის ოკუპაციის დაიწყა

საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას ოფიციალური წრეები ცდილობენ, არ გამოამჟღავნონ გაოცება, რომელიც მათი გაერთიანებიდან უზბეკეთის მოქმედებებმა გასულამ გამოიწვია.

გიორგი ხალაშვილი

უზბეკეთის ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ სუუამ-მა (საქართველოს, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის გაერთიანება) ვერ გაამართლოს ტაშკენტის იმედები. პარასკევს უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქაშილოვა დაადასტურა უზბეკეთის გადაწყვეტილება, დატოვოს გაერთიანების რიგები და მეტი ყურადღება დაუთმოს, ან უკვე, “სუამ”-ის ნევრ სახელმწიფოებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარე-

ბას. ამავე დროს, უზბეკეთის საგარეო საქმეთა უწყებამ არ გამოაცხადა, რომ მომავალში ტაშკენტი შეიძლება გაერთიანებაში დაბრუნდეს, რადგან უზბეკეთი საბოლოოდ არ ამბობს უარს ინტეგრაციაზე. უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ გადაწყვეტილების გასაართლებლად მხოლოდ ბუნდოვანი არგუმენტები მოიშვებია. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ გაერთიანებამ ვერ მოახერხა ნევრ სახელმწიფოებს შორის ტვირთების ტრანსპორტირებისათვის სამართლებრივი ბარიერების მოშლა. ამის გამო უზბეკეთის, სხვა სახელმწიფოების გავლით, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტზე უფრო იაფი უფადაა, ვიდრე სუამ-ის სახელმწიფოების მეშვეობით საქონლის გატანა და შემოტანა.

ამ ასხრა-განმარტების მიუხედავად, უზბეკეთის მიერ სუუამ-ის

დატოვებას გაერთიანების ნევრის სახელმწიფოების მთავრობები თავშეკავებული გაკვირვებით გამოეხმაურნენ. უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმაშ განაცხადა, რომ “სუუამ-ი შეიქმნა, როგორც სატრანსპორტო დერეფანი და მომავალშიც ამ როლის შესრულებას განაგრძობს... ჩვენ განსაკუთრებით არაფერ მიგვიწვევია სუუამ-ში შესასვლელად ან არ შესასვლელად”. კუჩმაშ თქმით, სუუამის სპეციფიკა არ ითვალისწინებს მასში ბევრი სახელმწიფოს ნევრობას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, საქართველო მზადაა, უზბეკეთთან ერთად განიხილოს სუუამ-ის მუშაობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა, რომლებმაც უზბეკეთს გაერთიანების დატოვება გადააწყვეტინა.

MICROSOFT-ს ანტიმონოპოლიურა კვლავ პრობლემები შეუქმნა

MICROSOFT-ის კვლავ პრობლემები აქვს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. როგორც “კომპიუტერნი” იუნყება, აიოვას შტატის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ უნდა გადაიხედოს MICROSOFT-ის წინააღმდეგ სარჩელის შესახებ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სარჩელი ქალაქ დე-მოინში მცხოვრებმა მომხმარებელმა შეიტანეს, რომლებმაც საოპერაციო სისტემა “უინდოუზ 98” ცალკე, ან კომპიუტერთან ერთად შეიძინეს. მათ კომპანია MICROSOFT საკუთარ პროდუქტიაზე ფასების ხელოვნური აწვეისათვის დაადანაშაულეს. შტატის პროკურატურაში აცხადებენ, რომ სასამართლოს ასეთი გადაწყვე-

ტილება, პირველ რიგში, ხელს აძლევს მომხმარებელს, მეორეც, ფასების ხელოვნური აწვევა ეწინააღმდეგება აიოვას შტატის ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას.

MICROSOFT-ის იურისტები სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან. კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, აიოვას შტატის სასამართლოს განაჩენი ეწინააღმდეგება ფედერალურ კანონს, რომლის მიხედვითაც, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისთვის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ იმ მომხმარებელს შეუძლია, ვისაც პროდუქცია უშუალოდ კომპანიისგან, ამ შემთხვევაში, MICROSOFT-ისგან აქვს ნაყიდი.

აღმოაჩინეს ახალი კომპიუტერული ვირუსი

ანტივირუსული დაცვის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს ახალი ვირუსი PERRUM. ის არ არის სახიფათო, არ უშლის ხელს სისტემის მუშაობას და არ ვრცელდება დამოუკიდებლად. თუმცა, ეს პირველი ვირუსია, რომელიც ციფრული ფოტოგრაფიის ფაილებს აზიანებს. “როიტერის” ცნობით, ახალ ვირუსს OW32/PERRUM უწოდეს. ამ ვირუსს ძალუძს, დაასწელოს კომპიუტერის ვინჩესტერში დაცული ციფრული ფოტოგრაფიის ფაილები.

ბი. ახალი ვირუსი კომპიუტერში ჩვეულებრივი ფაილის ჩატვირთვის დროს ხვდება. იგი კომპიუტერს ზიანს არ აყენებს და არ ქმნის სისტემაში ვირუსული ეპიდემიის წარმოქმნის საშიშროებას. თუმცა, როგორც ანტივირუსული რეაგირების ჯგუფის წარმომადგენლები აცხადებენ, გამორიცხული არაა, მომავალში გამოჩნდეს მსგავსი ვირუსები, რომლებსაც გაცილებით სერიოზული ზარალის მიყენება შეეძლება.

ბერძნული ყველი მხოლოდ საბერძნეთში უნდა დამზადდეს

ევროკომისია აპირებს, აკრძალოს ბერძნული ყველის feta-ს წარმოება საბერძნეთის ფარგლებს გარეთ. ევროკომისიის განცხადებაში მითითებულია, რომ საბერძნეთი ამ ყველის ისტორიული სამშობლოა, სადაც მას თითქმის ექვსი ათასწლეულის მანძილზე აწარმოებენ. ამდენად, ევროკომისიის განცხადებაში

ნათქვამია, რომ პროდუქტის დასახელება feta ისტორიული მონოპოლისის სტატუსს მიიღებს, ისევე, როგორც ცნობილი ფრანგული ყველი Roquefort.

ევროკავშირი ამ ყველის ყველა არაბერძნულ მწარმოებელ კომპანიას ხუთწლიან ვადას აძლევს, რის შემდეგაც მათ წარმოებები უნდა დახურონ.

MG Rover წარმოებას აპირებს

ბრიტანული კომპანია MG Rover დროებით წყვეტს ახალი ავტომანქანების აწეობას და აქცენტს მთავარწარმოების წარმოებაზე აკეთებს. ბრიტანელები იძულებულნი გახდნენ, ეს ნაბიჯი გადაედგათ,

რადგანაც კომპანიის დილერები ავტომანქანების რემონტისა და მომსახურებისთვის სათანადოგო ნაწილების სიმცირეს განიცდიდნენ. ამის გამო, მიმდინარე კვირაში კონვეიერიდან არ ჩამოვიდა 3 750 ავტომანქანა.

წინა დღით, პარასკევს, ისრაელის კუთვნილი სამხრებლო კომპანიის ბუდოზერებმა ჯენინის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის განმედა დაიწყეს. სამუშაოების დამთავრების შემდეგ მუშები ელექტრული ლოპის აგებას შეუდგებიან, რომელიც ებრაულ ქალაქებს იორდანეს დასავლეთ სანაპირისგან გამოყოფს. ჯენინის მონაკვეთი მხოლოდ ერთი ნაწილია 70 მილის სიგრძის ლოპისა, რომლის აგებაც უკვე დათვალისწინებულია. ისრაელის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ელექტრული ლოპის მშენებლობა, დაახლოებით, ერთ წელიწადში დასრულდება. ეს ღირებულება, კიდევ უფრო გრძელი ლოპის წინამორბედი, რომელიც 280 მილის სიგრძისა იქნება და მთლიანად დაამორიშორებს ებრაელებითა და პალესტინელებით დასახლებულ მიწებს, იერუსალიმის ჩათვლით. ოფიციალურად, ლოპის ფუნქცია პალესტინელი ტერორისტების თავდასხმებისაგან ისრაელის დაცვა იქნება. არაოფიციალურად კი, ეს ღირებულება და პალესტინის მომავალ სახელმწიფოს შორის ახალი პოლიტიკური საზღვრის საფუძველი გახდება (Reuters).



მოლდოვის, უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და უკრაინის პრეზიდენტები სუუამის ზეობის ხანაში. იალტის კონფერენციაზე

პატარა ნორა მელიტონიანი კასპის ინფლიდ ბავშვთა პანსიონატი-სიბიროსი, სოციალური დახმარების ცენტრ "ოაზისთან" არსებული მკურნალობის სკოლა-სახელოსარო "ნაპერვების" ხელმძღვანელმა დალია კუკულაძემ ჩამოიყვანა. დღეს წინა ორჯამი ცხოვრობს, დღეც შავს და მამაც. "ჩემი ნაშუაფერები თუ გაცივდა და ფული მეჩვენა, მასალა გიყიდა და ფერი კარგ მანცვებს გავაყიდა" - უფროსმა მანცვებს მისი

ღვინისძიება დუბლინურად

ღღეს Bloomsday-ი, 16 ივნისი



ჯეიმს ჯოისი



ლეოპოლდ ბლუმი ჯოისის ნახატი



ლეოპოლდ ბლუმი რიჩარდ პამილტონის ნახატი



ეს ფოტო რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ ბლუმსდეიზეა გადაღებული მასზე თანამედროვე ლეოპოლდ ბლუმია გამოსახული „ოკაბოასთან“ ერთად

მალხაზ ხარბაძი

ამ დღესასწაულს უკვე რამდენიმე ათეული წელია აღნიშნავენ ჯეიმს ჯოისის თაყვანისმცემლები და მასზე მხოლოდ ლიტერატურის მოყვარულები როდი იკრიბებიან. ჯოისის, კარგი ირლანდიური პორტერისა თუ მამაპაპური ვისკის მუშტრები, როგორც წესი, დილაუთენია ადგებიან გზას და 7-8 საათისთვის ქალაქის სამხრეთით, 8 მილის დაშორებით (სანდიკოუგში) მდებარე მარტელოს კოშკთან იყრიან ხოლმე თავს - ეს ნაგებობა 1804 წელს ააშენეს ნაპოლეონის შემოსევისაგან ქალაქის დასაცავად და აქ ერთ დროს თავად ჯოისიც ცხოვრობდა. სწორედ ეს ადგილი ითვლება "ულისეს" გეოგრაფიის პირველ პუნქტად და პირველი "ბლუმსდეიც" აქ დაიწყო, 1954 წელს, რომანში აღწერილი მოვლენების 50 წლისთავზე. რამდენიმე მწერალი, მსუბუქი საუზმის შემდეგ კოშკიდან ქალაქს გაეშურა და მცირე თავგადასავლების შემდეგ თავიანთი ოდისეა

"ოლდბეილის" ბარში დაასრულა. ამის შემდეგ, ყოველ წელს, ენთუზიასტთა ჯგუფები წიგნის სალონებსა და პაბებში იკრიბებოდნენ და "ულისეს" ცალკეული თავების კითხვით "დაჰყვებოდნენ" თავიანთ საყვარელ პერსონაჟს; თანდათანობით bloomsday-ს "პროგრამა" ახალ-ახალი პროექტებით ივსებოდა, დღეობაში სულ უფრო მეტი უცხოელი იღებდა მონაწილეობას და დუბლინის გარდა მსოფლიოს ბევრ სხვა ქალაქშიც მიაგებდნენ პატივს ბლუმ-ოდისევსს, ხმაბალა კითხულობდნენ მისი ყარიბობის ამბავს.

წლევიანდელი ბლუმსდეი 12 ივნისს დაიწყო აქციით "ბლუმსდეი ქუჩებში", რომელიც 13-ში გაგრძელდა დუბლინის მწერალთა ფესტივალთ. დღის პირველ საათზე პარნელ სკვერზე ოცზე მეტი ცნობილი მწერალი "გამოცხადდა" თავის "პუბლიკიანად" და ლეს მორეისი ლექსების კითხვით გახსნეს სეზონი (იგი დღეს დაიხურება). ფესტივალს ბევრი ცნობილი მწერალი ესწრება, მათ შორის ჩარლი სიმკი, ნიკოლაი ფრობენიუსი, დორის

დერი, ჯონ ბანვილი და მრავალი სხვა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება თანამედროვე ხელოვნების ირლანდიულ მუზეუმში მონყობილი რიჩარდ პამილტონის გამოფენა სახელწოდებით "ულისეს ვიზუალიზაცია", რომელიც ასევე ცამეტში გაიხსნა. 14 ივნისს პადი დინგამის ქელები და დაკრძალვა გაიმართა, რომელზე მოხვედრაც შესაბამისად 10 და 6 ფუნტი ღირდა, თუ ორივეზე მისვლას ისურვებდი, ცოტას დაგიკლებდნენ და 12 ფუნტად შეძლებდი დინგამის ხსოვნისა გეტყვა, თუმცა გამჭრიახი ირლანდიელები ალბათ ჩანგალზე მისვლასაც მოახერხებდნენ.

ეს რაც შეეხება გუშინდელ და გუშინწინდელ ამბებს, დღეს კი ყველაფერი ისევე ძველებურადაა, პაბები და რესტორნები სანდიკოუგში უკვე დილის შვიდ საათზე გაიხსნა და საუზმეზევე ბევრი ირლანდიური მოლტი (ვისკის სახეობაა ეგეთი, ძვირფასი და ანკარა, სამწაბადი, ბლენდისგან განსხვავებული) და მუქი ლუდი ჩამოისხა. სკოტის პაბში დილიდანვე დიდი ღრეობა იყო დაგეგმილი - "გი-

